ქალაქ თბილისის საკრებულოს
სატრანსპორტო საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი №34

13 სექტემბერი, 2019
თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

11:00 საათი

<u>სხდომას ესწრებოდნენ:</u>

1. თედო ისაკაძე - კომისიის თავმჯდომარე;
2. შალვა ოგბაიძე - კომისიის წევრი;
3. გიორგი ახვლედიანი - კომისიის წევრი;
4. მიხეილ ამაშუკელი - კომისიის წევრი;
5. ილია ჯიშკარიანი - კომისიის წევრი.

სხდომის დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ (12-0319247124-03, 04.09.2019).

სხდომა წარიმართა ურბანული დაგეგმარების და საქალაქო მეურნეობის და გარემოს დაცვის კომისიებთან ერთად.

სხდომას თავმჯდომარეობდა - თედო ისაკაძე.

მომხსენებელი:

- **ვალერი ჭიღლაძე** - თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარემ გახსნა სხდომა და კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი.

თ.ისაკაძე - მოგესალმებით, დღის წესრიგით გათვალისწინებულია თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის გამგებლის თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის საკითხი. დედაქალაქის მერიის ადმინისტრაციის უფროსს ვთხოვ წარმოადგინოს საკითხი.

ვ. ჭიღლაძე - მოგესალმებით, წარმოგიდგენთ კახა სამხარაძის კანდიდატურას სამგორის რაიონის გამგებლის პოზიციაზე, მან კარგად იცის სამგორის მუნიციპალიტეტის პრობლემები,რაიონს იცნობს კარგად, მისი ენერგიულობა, თავდაუზოგავი შრომა და პროფესიონალიზმი სამგორის რაიონს წარმატებას მოუტანს.

გ. ტყემალაძე - ბატონი კახას გამოცდილება ძალიან მნიშვნელოვანია, ჩვენ ერთად ბევრ კარგ საქმეს განვახორციელებთ სამგორის რაიონში, მოხარული ვარ, რომ სამგორს ეყოლება ღირსეული გამგებელი.

შ. ოგბაიძე - ბატონ კახას ვიცნობ პირადად, მას ბევრი კარგი საქმეები აქვს განხორციელებული და მისი პროფესიონალიზმი უდაოა.

თ. ისაკაძე - სამგორელებს და სამგორის რაიონის მაჟორიტარებს მინდა მივულოცო, მათ ძალიან გაუმართლათ, რადგან ეყოლებათ წარმატებული და საქმის მოყვარული გამგებელი, წარმატებებს ვუსურვებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დასკვნის პროექტი. ხმათა უმრავლესობით (მომხრე - 5, თავი შეიკავა - 0, წინააღმდეგი - 0) კომისიამ დაადგინა:

- ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი (12-0319247124-03, 04.09.2019) განხილულ იქნეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სატრანსპორტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე

თედო ისაკაძე